საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №75
2016 წლის 24 ოქტომბერი

ქ. თბილისი

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2010 წლის 2 აგვისტოს №515 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2010 წლის 2 აგვისტოს №515 (სსმ, №96, 04/08/2010, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.026.014932) ბრძანებით დამტკიცებულ წესდებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და წესდების მე-2 მუხლს დაემატოს ,,5^2'' პუნქტი შემდეგი რედაქციით:

,,5^2. ლიცეუმი მაღალი რისკის შემცველი მეცადინეობების/სწავლებების დროს ხელმძღვანელობს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მიერ დამტკიცებული მაღალი რისკის შემცველი მეცადინეობებისა და სწავლებების უსაფრთხოების ზომების დაცვის შესახებ ინსტრუქციით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ლევან იზორია**